№ 109 მაისი 28, პარასკევი 1893 მაისი 28, პარასკევი № 109

ГАЗЕТИ ღირს

ოთკე	მან.	კ.	ოთკე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ИВЕРІЯ

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აგზალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას; სათავად-აზნაურთა ბანკის ქარვასლის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1893

„ИВЕРІА“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გასლერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებია უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო ჰასუხის მგებელ იქნება მარტო იმ სელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნას.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის აღკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

კვირას, 30 მაისს,

მუშტაიდის ბაღში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულ იქნება

სახალხო სეირნობა
ლატარია-ალეგრითა

შესასვლელი ბილეთი ღირს აბაზი. სალატარეაო—თითო აბაზი.

დაწვრილებით გამოცხადებულია აფიშებში.

კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა სთხოვს საბჭოს წევრთ და აგრედვე ყველას, ვინც ქრისტიანობის გავრცელების საქმეს თანაუგრძნობს, მობრძანდნენ 12 სათზედ 6 ივნისს, ექსარხოსის ეკლესიაში გარდახდილ წირვისა და პარაკლისის შემდეგ, მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის სახლში საბჭოს წლიურ კრებაზედ. ამ კრებაზედ, თანხმად საზოგადოების წესდების მე 12 მუხლისა, წაკითხულ იქნება საზოგადოების ანგარიში 1892 წლისა, არჩეულ იქმნებიან საბჭოს ახალი წევრნი, მათ მაგიერად, ვისაც სამსახურის 3 წლის ვადა გაუთავდათ; აგრედვე არჩეულ იქმნება კომისია საზოგადოების წასრული წლის ანგარიშის სარევიზიოდ.

სახლების აშენების ამხანაგობისაგან

რადგან იანვარში დანიშნული კრება არ შესდგა, კვირას 6 ივნისს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება „სახლების აშენების ამხანაგობისა“.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის“ მოქმედებისა წარსულ წილსა.

2) არჩევანები გამგეობის წევრთა და

3) ახალ ამხანაგების არჩევანები. (5—2)

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

№ 5.

დაიბეჭდა და გაიგზავნა გასასყიდად სხვა-და-სხვა ქალაქებსა და დაბებში

ვილჰელმ ტელი

(შილლერიდგან)

ი. სანებლიძისა

ფასი სამი შაური.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო პოეტის თ.

ნიკოლოზ გარათაშვილის

მემკვიდრეთაგან განსაკუთრებული უფლება მის ნაწერების გამოცემისა. ამ საზოგადოების გამგეობა სთხოვს უმორჩილესად ყველას, ვისაც-კი მოეპოვება ჯერედ კიდევ დაუბეჭდავი მისი ლექსება, წერილები, ნათარგმნები და სხვა, ანუ საკუთარის მის ხელით დაწერილი რამ, თუნდაც იგი დაბეჭდილიც იყვეს, ინებონ და გამოგზანონ საზოგადოების კანცელარიაში (სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლა № 126). ნაწერების დაბეჭდვის შემდეგ ყველაფერი უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს. (5—2)

ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თვის 27, ტფილისიდგან კახეთში გაემგზავრა კავკასიის მთავარ მართებელი გენერალ ადიუტანტი ს. ა—ძე შერემეტიევი. მთავარ მართებელს თან მისდევენ ტფილისის გუბერნატორი დ. ს. ს. თავ. გ. დ—ძე შერვაშიძე და კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორის თანაშემწე დ. ს. ს. მიცკევიჩი.

*** ბ ნი ტფილისის პოლიცმეისტერი აუწყებს სამკურნალო განყოფილებას, რომ ქ. ტფილისში გასულ 1892 წელს სულ 145,731 მცხოვრები ყოფილა, მაშინ როდესაც 1876 წელს ერთ დღეს მომხდარ აღწერით ტფილისში სულ 104,000 მცხოვრები ყოფილა. მაშასადამე, 17 წლის განმავლობაში ტფილისს მოჰმატებია 41,731 კაცი.

*** «წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» შემოსწირეს:

1) მიხეილ დავითის ძემ ამირიძემ 26 ხელთ ნაწერი: როსტომიანი, დავითიანი, დილარიანი, ვისრამიანი, ვარშაყიანი, კვინტოს კურციოსის ალექსანდრე მაკედონელის ისტორია, ცხოვრება გონება-მახვილის ესოპესი და სხვები.

2) პეტრე გრიგოლის ძემ მირიანაშვილმა 4 ხელთ-ნაწერი: სწავლანი, გამოკრებილნი წმინდათა მამათა წიგნთაგან, მცირე სჯულის კანონი, გრდემლი სარწმუნოებისა და საქართველოს ცხოვრება ვახუშტისა.

3) კონსტანტინე დიმიტრის ძემ ყიფიანმა—მთელი გამოცემა მის მამის ქართულის გრამატიკისა.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის აქ მოხსენებულთ შემომწირველთა.

ძმათა გულასპოვებმა—ოთხი ჩალის შლიაპა, ორი ქოლგა, ერთი ტიკინი, ერთი სათამაშო სერსო, ერთი სარკე, ნოტის ფუტლიასი და ერთი სურათი.

ბ-მა როინაშვილმა—ხურჯინი, ჩუსტი, ქოში, დაირა, დიპლომატიკა და ექვსი ქაშანაურის ჩარეჭა.

*** „წერა-კითხვის საზოგადოების ლატარიისთვის კიდევ შემოსწირეს:

ქართველ მოსწავლე ქალებმა ოთხი მშვენივრად ნაკერი პირსახოცი.

ალ. გ. ძემ კორაევმა—ყულაბი და პირსაბანი.

ი. ნაზაროვმა და ა. ელიბეგოვმა—4 ბროშკა და ერთი ქამარი.

ა. დ. ელიზბაროვმა—ტყავის ორი ქამარი და ერთი ბროშკა.

გ. თ. ლორთქიფანიძემ—ოთხი ნაჭერი ჩითი.

ი. გ. კაჭკაჭიშვილმა—ორი ნაჭერი ჩითი.

ი. ნ. ელიოზიშვილმა—1 წყლის სტაქანი, 1 გრაფინკა, 1 სარძევე; 2 საჩაიე და 1 საშაქრე.

*** საფოსტო და სატელეგრაფო უწყება ამ დღეებში შეუდგა ტელეფონ-აპპარატების გამართვას აბონენტების სახლებში.

*** ტფილისის საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილებამ ამ დღეებში აცნობა ყველა აფთიაქების პატრონებს, რომ აფთიაქების ახალი ნიხრი ეხლავე შემოღებულ იქმნას ტფილისის გუბერნიაშიო.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა მთიულთა ოცი ოჯახობა, რომელნიც ფოსტის გაძარცვისთვის ამ რამდენისამე წლის წინად სასამართლოს დადგინებით გაგზავნილ იყვნენ ახალციხის მაზრაში და ეხლა-კი ისევ მთაში მიდიან თავიანთ სახლებში

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ არსდება ტფილისში ახალი ამხანაგობა წიგნების ბეჭდვისა. წესდება ამ საზოგადოებისა სულ სხვა საფუძველზეა აშენებული. ვიდრე აწ-არსებულ ამხანაგობათა, დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველთ ამ წესდებას, როდესაც იგი დამტკიცებულ იქმნება.

*** დღეს, 26 მაისს, ხითაროვმა, რომელიც აბავს ცხენებს ფოსტის ეტლებში ტფილისიდგან თიანეთამდე, მოახსენა თბილისის გუბერნიის მკურნალთა უფროსს, რომ რაღაც სენით ცხენები მეხოცებაო. ავად გამხდარი ცხენი პირლველად კანკალს იწყობს და 2—3 საათში კიდეც კვდებაო. ამ სენით თიანეთშიაც იხოცებიან პირუტყვები და პანკისშიც 11 ცხენი მომკვდარა. ბეითალმა მეშჩერსკიმ ამ სენს „сибирская язва“ დაარქვა. ამავე დღეს, 2 საათზე, ზემოხსენებულს ხითაროვს თიანეთიდამ დეპეშით აცნობეს, რომ ორი საუკეთესო ცხენი კიდევ მოკვდაო. მეშჩერსკის მოუვიდა ბრძანება ტფილისის გუბერნიის ექიმთა უფროსისაგან, რომ რაც შეიძლება ჩქარა გაემგზავროს თიანეთსა და პანკისში ამ სენის მოსასპობლად.

*** ამ დღეებში დ. ზულიჩში, სიღნაღის მაზრაში, ვიღაც ბოროტ მომმქმედთ მოუკლავთ იმავე მაზრის სოფ. ბოდბეს მცხოვრები გეგენა ჩუთქაშვილი. მკვლელს დაეძებენ.

*** 12 მაისს თელავის მაზრის სოფ. კურდღელაურში დათიკო ჩაკვატაძეს მოჰპარეს სახლიდგან ფული, ძვირფასი ნივთები და ვექსილები სულ 438 მანათისა.

*** საშმ: 1891 წელს ტფილისის მაზრის უფროსის წინადადებით გადავწყვიტეთ: გავაშენოთ ჩვენს საზოგადოებაში საზოგადო ვენახი და ამ საქმისთვის შევწირეთ 20 დღიური ადგილი და აგრედვე რიგ-რიგით უნდა გვემუშავნა ამ ვენახში.

აპრილში აქ მობრძანდა ტფილისის მაზრის უფროსი და საზოგადო ვენახი დაათვალიერა. ეს ვენახი ამ ჟამად შეიცავს 1800 ოთხ-კუთხ საჟენს და ყურძნის მოსავალს წელსვე მოველით.

*** საგარეჯოდგან გვწერენ, რომ იქ ყივანა-ხველა ჯერ არ მოსპობილა. მართლია ამ ავადმყოფობით სულ 2—3 გარდაიცვალა, მაგრამ ავადმყოფი-კი ბევრია. ამასთანავე ყვავილიც ხელახლავ გაჩნდა.

*** ფასანაური (დუშეთის მაზრა): 14 მაისს გუდამაყრის ხეობიდამ სოფ. ბახანში მცხოვრებ გიორგი გ. ქავთაროვი ფასანაურში გადმოვიდა. ცხენით ღვინო და რაღეებიც იყიდა დუქანში. როდესაც უკან დაბრუნდა, არაგვში წყალმა დასძალა, ცხენი წაიქცა, კაცი მოიტაცა და დაარჩო, ცხენი კი გამოვიდა. დამრჩვალი მეცხრე ვერსსზედ იპოვნეს, ამავე დღეს. საბრალო 35 წლის ვეკაცი იყო და კარგი მონადირე.

18 მაისს სოფ. ჯუღოთის მცხოვრებელი ნინიკა ბურდული არაგვში გამოდიოდა ცხენით. ამ დროს ცხენი წააქცია წყალმა. მიეშველნენ ორნი სხვანი თავის მეზობლები, ვითომ უნდა გამოეყვანათ, გადავარჩენთო და ისენიც იმასთან დაირჩვნენ.

*** 26 მაისს იმნაძის წისქვილთან ბანაობის დროს დაირჩო 16 წლის ნიკოლოზ ლიანგი.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქართლი, 25 მაისი. უბედურ კაცს ქკა ალმართში დაეწევაო, ნათქვამია. ქართლელებისა და კახელების საქმეც ისეა. ჯერ იყო და კახეთი არ დაჯერა ღმერმა შიმშილობას, ნიალვრები და სეტყვა ზედ დაურთო; მერე კალია მიესია ქალაქის პირის სოფლებს და დიდი ზარალი მისცა; ტფილისი ხომ 13 ამ თვეს თითქმის წალეკა მტკვარმა, თუმცა იმავე დროს არც სოფლებს მისცა ნაკლები ზარალი. ჯანი გაჰვარდეს, რაც იყო, როგორც იყო გაუძლებდით, მაგრამ ეს რაღა ღვთის წყრომაა, რომ ურიას ღორი უმძიმდა, კოჭიც ზედ დაუსართესო. ამისთანა სიძვირემ ყელში წაგვიჭირა და ოც-და-ხუთს ამ თვეს სხვა უბედურებაც ზედ დაერთო. მთელი ეს დღე საშინლად ცხელოდა და იკბინებოდა მზე. ესე სამი საათი იქნებოდა ნაშუადღევს, რომ დასავლეთის მხარეზედ, ლიახვს გაღმა, ღრუბლები გაჩნდა, თეთრი და შავი ღრუბელი ტყვიის ფრად ერთმანერთში შაიზილა. ადიოდა მაღლა და ჩამოდიოდა, ერთი რაღაც საზა-

რელი ქუხილი დაარევ, დარევა იყო. ქარი აღმოსავლეთიდამ ჰქროდა, მაგრამ ღრუბლები მაინც ჩვენკენ—აღმოსავლეთის მხრისკენ მოდიოდნენ. თან-და-თან ხეილი ახლოვდებოდა. გამოცდილმა კაცებმა მაშინვე გულზედ ხელი დაიკრეს „ვაიმე დავიღუპებითო!“ ღმერთს ტ დაუწყეს ვედრება, განსაცდელი აგვაცილეო. შემოჰყვა, ბატონო, ზემო ქართლიდამ მთის ძირობას და ურახუნა და ურახუნა. გადმოვიდა მეჯრუხევს და სეტყვამ სულ გაანადგურა. მნახავები ამბობენ, ვენახებში ცარიელი სარები-ღა სდგასო, ყურძენი და რქა ძალიან გაუფუჭებია. გადაჰყვა ისე და გამოიძაბა ღრუბელი ახლა მეჯრუხევის ბოლოზედ, ხუთს საათზედ ხელთუბანსაც მოაღწია. ჯერ თითო ოროლა არ ჩამოვარდნილიყო, რომ ქუდ-მოხდილი ხალხი პირჯვრის წერით ცის ქვეშ გამოვიდა. დაუშინეს ზარებს, დაუშინა სეტყვაც, ზოგი და ზოგი ღოღნაშოს სისხო ცვიოდა. სულ ორს წუთს არ გასტანა და ისე გაათეთრა მთელი სოფელი, გეგონებოდა თოვლიაო. ხეებიდამ ფოთოლი ბზესავით ცვიოდა სეტყვისაგან. კიდევ ღმერთმა გვიბრალა, ცოტა ხანს გასტანა, თორემ სულ გაგვატიალებდა. ამას გარდა აქ სეტყვა ისე ღონივრად არა ცვიოდა, როგორც იცის ხოლმე. ამისი მიზეზი ჩემის ფიქრით ის იყო, რომ სეტყვა დასავლეთიდამ მოდიოდა, ქარი აღმოსავლეთისა უქროდა და სეტყვას აჩერებდა და ღონეს არ-ცემდა. ზევით მთის პირის სოფლებში მეორე დღემდე იდო თოვლივით სეტყვა. ამ სეტყვამ რაც ზარალი ჰქნა, ჰქნა, რაც არა მოეცა ღვრები მინდვრებს და ერთი საცოდაობა დატრიალა. ოსებიდან წამოსულმა ღვარმა ბერშუეთში ჩამოატარა საბძლები, წისქვილები, სახლები, სახლების ავეჯი, ხარი, კამეჩი. ეცა ბებურიშვილის ვენახებს და სულ წალეკა. მაგალითად ბერშუეთის მღვდლის ვენახი, ესე ოთხმოცის კოკისა, ისე წალეკა, რომ მთელი იმტოლა ვენახის ერთი მეოთხედი-ღა დარჩა. სარიც წაიღო, ვაზიც გათელა და რაც შიგ იყო, ისიც. ამას გარდა ოცამდე სხვა ვენახი დააზარალა. ზოგისა ღობე მოგლიჯა მარტო. ვენახებში თითო ისეთი მორები იყო მიტანილი, რომ ათი უღელი ხარი ვერ გაათრევს. ხალხს უკვირს, არ ვიცით ამისთანა ხეები საიდამ მოიტანაო; ახლო-მახლო ასეთი ტყე არსად არისო.

წყალმა მოიტანა თან მრავალი დამრჩვალი საქონელი, ხარები, ძროხები, კამეჩები; ზოგს პატრონი გამოუჩნდა, ჩამოვიდნენ ოსები, დაატყავეს; რომლებსაც არ გამოუჩნდა, ვინც პოულობს, ის ატყავებს და მიაქვს.

ერთის სიტყვით, ამისთანა ნიაღვრები, ძალიან დიდი ხანია, არა ყოფილაო, იძახის ხალხი. სამოცი წლის კაცები იძახიან, არ მოვსწრებივართ ამისთანა უკულმართს დროსაო. მეორე მოსვლის ნიშანი არისო. ქვეყანა რო წახდა, არ იცისო, რომ ღმერთი ასე უზამსო?! „გადამხდა გადასავალი და უარესსაც მოველიო“.

აქეთკენ ქურდობაც ხშირია. ოსის წელს რა დაჰწმენდავს. ოსებმა აგვიკლეს; დასწყევლა ღმერთმა, ვერც ჩამორჩობამ შეაშინა ესენი და ვერც სამართალმა. არ ვიცი, რა აქურდებს? არც ისე ღარიბები არიან, რომ ქურდობის მეტი სხვა გზა აღარა ჰქონდეთ.

ამას წინად ხელთუბნელ გლეხებს ფალელაშვილებს ღამე ბოსლიდამ მოჰპარეს სამი ხარი. ერთი, რომელიც კარგი ხარი იყო, გზიდამვე გამოჰქცეოდა, ორი-კი წაეყვანათ. გამოჰღვიძებიათ ბიჭებს, უნახავთ, აღარსად არის სამი ხარი; მაშინვე შესხდნენ ცხენებზედ და გამოეკიდნენ ოსებს. პირდაპირ ზევით მეჯრუხევისაკენ გასწიეს, რაკი ოსების გზა იქითკენ მიდის. მეჯრუხევის ზევით, შიგ ოსების სოფლის პირში, დაჰწევიან ამ ქურდებს და მოუვლიათ წინ. რაღას იზამდენ, ოსებმა გაანებეს ხარებს თავი და გაიქცნენ. ქურდები იცნეს კიდეც, მაგრამ გაანება ხარების პატრონმა თავი, მაგათგან ხეირი არ გამოვა, უფრო გადავიმტერებთ და გადამწვენო. მეორე. უსანეთიდამ დაბრუნებულს ერთს ურემს დაეცნენ ღამე კიდევ ოსები, ურემზედ ერთ გორელ მეწვრილმანეს სავაჭრო ელაგა. ჯერ ხარების მოტაცება მოენდომათ, პატრონს არ დაენებებინა, მერე გაეცარცვათ ურემი, წაეღოთ, რაც ეგდოთ ხელთა, და წასულიყვნენ. ეს საქმე-კი გამოძიებაშია და ქურდებიც დაიჭირეს.

ოცდახუთს ამ თთვეს კიდევ სარწყავიდამ მომდინარს ხელთუბნელს ბიჭს გზაში სამი ოსი დასცემოდნენ და თურმე ცხენს ართმევდნენ, ვითომ იმ მიზეზით, რომ ხელთუბნამდე შევსხდებითო. ბიჭს არ დაენებებინა და ბარი მოეღერა ოსისათვის. მისდგომოდნენ ეს ოსები კომბლებით და ლამაზად მიეტყიპათ. საწყალი ბიჭი ცხენით გამოჰქცეოდა და მოვიდა სოფელში. ცხენი აქ დაეგდო, ერთი სხვა კაცი წაიყვანა, წინ მოვასწრობ იმ ოსებსა და მამასახლისთან მივიყვანო, მაგრამ ოსებს დაეკრათ ფეხი და კვართიხისკენ ყანებზედ გაქცეულიყვნენ. ბიჭები მაინც დაეწივნენ ოსებს, ორი დაიჭირეს, ერთი-კი გაქცეოდათ, და ჩამოათრიეს დუქანში. აქ მამასახლისს ელოდნენ, გუთანზედ იყო, ელოდნენ, არ მოვიდა. სეტყვაც დაუშინა; იმათი სადარდო სეტყვა გახდა. ოსებს-კი ამოჰკრეს კუკუ და გააგდეს. ნაცემ ბიჭსაც დაათმობინეს, უფრო გადაგემტერებიანო და გაზარალებენო. საკვირველია ამ ოსების საქმე, მთელი სოფლები ქვეშა აქვთ, იპარავენ, სცარცვენ და არ იქნა, ვერ ალაგმეს.

ქველიძე

წერილი ქუთაისიდამ

(წლიური კრება ქუთ. ამხანაგობის წევრთა)

22-ს ამ თთვისას თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში იქაურ ქართველ წიგნთა გამომცემელ ამხანაგობას წლიური მორიგი კრება ჰქონდა. დაესწრო ოცრმოცდა-ათიოდე წევრი. ანგარიშიდამ როგორც სჩანს, ამხანაგობას 149 წევრი ჰყოლია. წიგნების ბეჭდვას შესდგომიან წარსულ წლის ენკენისთვეში და წლის დამლევამდე დაუბეჭდავთ სამი წიგნი: დუტუ მეგრელისა „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდგან“, იტალიელის მწერლის ამიჩისის წიგნაკი „დედა და შვილის თავ-გარდასავალი“, ქ-ნ ანნა პეტრიაშვილის მიერ ნათარგმნი, და პოემა ლერმონტოვისა „მწირი“, ბ-ნ გრ. აბაშიძის მიერ გადმოღებული. ამ 1893-ს წელს-კი უკვე ორი წიგნი გამოუციათ, სახელდობრ: „სვანური ზღაპრები“, თავის-უფალ სხვანის მიერ შეკრებილი, და მოთხრობა „ვილჰელმ ტელი“ ბ-ნ ი. სანებლიძისა. ამ ჟამად-კი იბეჭდება და მოკლე დროს გასასყიდად დარიგდება პოემა ცახელისა „გურგენ-რაინდი“. გარდა ამისა გამგეობა ამხანაგობისა წელსვე უნდა შეუდგეს განსვენებულის პოეტის მამია გურიელის ნაწერების და ბ-ნ გ. ე. წერეთლის ნაწერების ბეჭდვას. აგრედვე დასაბეჭდად მზადდება რამდენიმე ნათარგმნი თხზულება. კრებამ დაადგინა ამხანაგობის დაბეჭდილი წიგნები უფასოდ უვზავნოს სახალხო სამკითხველოებს, საპყრობილებს, უნივერსიტეტში მყოფ ქართველს სტუდენტებს და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლებს. მმართველობა იქმნა 21 ახალი წევრი. წარსულ წლის ანგარიშში ეძინდა მოგება ცოტაა ნაჩვენები. ამის მიზეზი ის არის, რომ ამხანაგობა თითქმის წლის დამლევს შეუდგა წიგნების ბეჭდვას და ამ-ტომ გამგეობას აგენტებთან ანგარიშის გასწორება ვერ მოუსწვრია. ხოლო წელს წიგნების გამოსაცემად დახარჯული ფული თითქმის სრულიად აღუდგენიათ. გამგეობა ძველივე იქმნა არჩეული ერთხმად: მმართველად ბ-ნი ა. ნანეიშვილი, ადმინისტრატორად ბ-ნი ს. დათეშიძე, ხაზინადრად ბ-ნი თ. მთავრიშვილი და მდივნად ბ-ნი კ. ნიკოლაძე. სარედაქციო კომისიის წევრად არჩეულ იქმნენ ბ-ნნი მ. ხელთუფლიშვილი, პ. კვიცარიძე, საღარაძე, ივ. რატიშვილი და ი. სანებლიძე; ამათგან ოთხი პირველი ახლებია. ძველმა წევრებმა, ბ-ნმა კ. ბაქრაძემ, კ. გოცირიძემ და ს. ხუნდაძემ კომისიაში დარჩენა არ ისურვეს.

კათალიკოზნი საქართველოს ეკკლესიისა

(488—1811 წ.) *)

ნიკოლაოზ (1240—1278 წ.) ძაგანის ძე. ესე ნიკოლაოზ კათალიკოზი არის ერთი საუკეთესო საქართველოს შვილთაგანი. იგი სცხოვრებდა იმ დროს, როდესაც სისხლის ნაკადულნი სდიოდენ საქართველოს მიწა-წყალზედ, როდესაც „სალმობიერი ღაღადი, ტირილი, ტკივილი და ზახილი, და უზენარო ვაება და საზარელთა ხმათაგან იძროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესი ერი ვითა

*) იხ. „ივერია“, № 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონი

ქართველთა შორის

უსახელო მტერ-მუყვარე—გაუმარჯოს ზოოლოგისა!

ჩვენის გაზეთის სხვათა თანამშრომელთა შორის «კვალმა» მეც მომაქცია თავისი მოწყალე ყურადღება და, გარდა სასტიკ გადაკვრ-გადმოკვრისა, რომლისაგანაც გვერდები ეხლაც მეწვის, რამდენჯერმე პირდაპირაც დამასახელა. ვერ ვიტყვი, რომ ძრიელ თავაზიანად გახლდეთ დასახელებული... არა, რის თავაზიანობა!.. როდესაც ჩემზე მოდგება ხოლმე საქმე, გაზეთი „კვალი“ თავის მოვალეობადა სთვლის დაივიწყოს ყოველგვარი საანბანო ლიტერატურული მართებულობა. ეს, რა თქმა უნდა, სრული მისი უფლებაა, მაგრამ მე მაინც თავი მომწონს, რომ ამ გაზეთის ყურადღების ღირსი გავხდი მიუხედავად იმისა, თუ როგორ იხატება მისი ჩემდამი ყურადღება. მთელი პირველი ცხრა ნომერი დაიბეჭდა „კვალისა“ და თითო-ოროლა უსახელო გადმოკვრის მეტი არა იყო-რა ჩემზედ. ჩემს გულის ტკენას საზღვარი არა ჰქონდა: თქვე უღმერთონო-მეთქი, ვამბობდი ჩემთავად—მაგრე სასტიკადა მშოლტავთ და რა იქმნება, ერთხელ მაინც დამასახელოთ-მეთქი!.. აგერ, დაიბეჭდა მეათე ნომერი გაზეთისა. თვალ-გაფაციცებით და გულის ძგერით ჩავიკითხე ბოლომდე, მაგრამ, თქვენი მტერი, მე უნუგეშოდ დავრჩი: ჩემი ხსენებაც არსად იყო. გარნა წარმოიდგინეთ ჩემი საზღვარდაუდებელი სიამოვნება, როდესაც იმედ-დაკარგულმა „კვალის“ იმავ მეათე ნომრის ფოსტას მივაპყარ დაღონებული თვალი. იქ სხვათა შორის ეწერა:

„ბევრი რამ არის საყურადღებო თქვენს წერილში და სიამოვნებითაც დავბეჭდავდით, ორი გარემოება რომ არ უშლიდეს (ვისა?): სივრცე და „სანოებთან“ ბრძოლა. დაგვეთანხმეთ, რომ ეს უკანასკნელი საქმე ბუზების ზარბაზნებით ხოცვაა“—

ასე სწერს „კვალი“ ვიღაც ზარბაზანიან მეომარს.

მართალია, ბრჩხილებში ვარ ჩასმული, მაგრამ მაინც ხომ დასახელებული ვარ. ეგეც დიდი ბედნიერება გახლავთ ჩემისთანა ბუზისათვის, რომლის მოსაკლავადაც „კვალი“ ზარბაზანს არ იხმარს, რომ სასაცილოდ არავინ აიგდოს, მაგრამ სხვა პატარა რამე იარაღს ხომ მაინც მიჰმართავს, რომ ეს უსიამოვნო ბუზი და მისი ბზუილი აიცილოს გზიდგან! ჰაი, შენს პირს შაქარი-მეთქი, წამოვიძახე ყელ-მოღერებულმა და თავ-მოწონებულმა. ბუზი ხომ მაინცა ვყოფილვარ-მეთქი, ხოლო ჩემს ამპარტავნობას საზღვარი აღარა ჰქონდა, როდესაც იმავ „კვალის“ მეცხრამეტე ნომრის მესამე და მეოთხე გვერდზედ წავიკითხე ადგილები, სადაც მე ვიღაც უსახელო ავტორი ფირმანს მაძლევს:

„თვით ყველასათვის საყვარელ და სათაყვანებელ პოეტებზედაც-კი შეუძლიანთ „სანოებსა“ და სხვა ვიგინდარებს სთქვან: „საცოდავნი სანახავნი არიან ჩვენი მოლექსენიო“... ამის თქმის ნება ყველასა აქვს, როგორც გზად მიმავალ სპილოზედ ყეფის ნებას საბრალო ფინიას არავინ შეეცილება“.

**

თუმცა უსახელო ავტორი არ მაღირსებს სრულს ფინიობას, მაგრამ მაინც დიდი რამ არის ჩემთვის, რომ მე ცხრა ნომრის წინ მხოლოდ ბუზი ვიყავი და ცხრა ნომრის შემდეგ იმოდენად გავზდილვარ, რომ ფინიობას აღარა მკლებია-რა. თუ ასეთს წარმატების გზაზედ მატარა ჩვენმა სამეცნიერო და დარბაისელმა „კვალმა“, მგონია, ყველა მხეცებს შემადაროს და დასასრულ თვით ზოოლოგიაში სახელიც ველარ მომინახოს... ღმერთო შენითა!.. კაი ნიშანია. მაგრამ მე რომ ასეთს წარმატებაში შევყევარ ჩემს უსახელო მტერმოყვარეს, ზრდილობიანობა მოითხოვს, რომ მეც გადვუხადო სამაგიერო. ხოლო დიდს გაჭირვებაში ვარ და ვერ გამომიცვნია, როკორი უნდა იყოს ეს სამაგიერო. ეტყობა, უსახელო ავტორს დიდი „მიფორთხვილება“ აქვს სპილოობაზედ: ჩვენ სპილოები ვართ და თქვენ-კი ფინიებსა ჰგევხართო. მაგრამ, როდესაც თითონვე ჰსურს თავის-თავს სპილო დაუძახოს, ალბად მომეტებულის ღირსია და რა ვქნა, როდესაც მაგაზედ დიდი და ახოვანი მხეცი აღარ მეკუდლება. ძირს დავწიო და ჩამოვიყვანო აქლემზე, კამეჩსა და ცხენზედ, ვირსა და ხბოზედ? არ იქნება! ვინ რას იტყვის—ყველანი უმადურობაში ჩამომართმევენ. მაშ რა ვუყო? ფრინველების სახელი ავურჩიო? გინდა კაჭკაჭი, თუთიყუში, სვავი, ყვავი, ყორანი!.. ჰა? არ ვარგა—პატარეები არიან. ინდოური? სირ-აქლემა? არც ეს მოეწონება.

სულ-კი იმიტომ ჩავვარდი ასეთს საგონებელში, რომ უსახელო ავტორი ძალიან ერიდება სახელის გამომჟღავნებას, უსახელობა ურჩევნია სახელიანობას და ამავე დროს დიდი ხალისი აქვს უეჭველად პირუტყვის სახელი უთავაზოს თქვენს უმორჩილესს მონას. ამის გამო, რასაკვირველია, სრულს უფლებას მაძლევს, რომ მეც ისეთი სახელი დავუძახო, რომელიც-კი ენაზედ მომადგება, განურჩევლად იმისა, მოეწონება თუ არა. ხოლო მე მაინც დავადგები სულგრძელობას და, თუმცა საძაგიეროს მისაწყავად, იმას მოუნათლავს ვერ დავტოვებ, მაგრამ მხეცის სახელს ავაცდენ და ჯერ ჯეროობით მივმართავ—ბ-ნო ბუმბერაზო, მეთქი, ვიდრე რამ სახელს ან ფსევდონიმს მაინც დაირქმევდეს.

ჰო-და, ბ-ნი ბუმბერაზი ფირმანს მაძლევს თავად აკაკი წერეთლის პოეზიის შესახებ. ეს ძვირფასი ფირმანი გამოწვეულია ჩემის ფელეტონით, რომელშიაც მე ვსწერდი შესახებ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლებს. მმართველობა იქმნა 21 ახალი წევრი. წარსულ წლის ანგარიშში ეძინდა მოგება ცოტაა ნაჩვენები. ამის მიზეზი ის არის, რომ ამხანაგობა თითქმის წლის დამლევს შეუდგა წიგნების ბეჭდვას და ამ-ტომ გამგეობას აგენტებთან ანგარიშის გასწორება ვერ მოუსწვრია. ხოლო წელს წიგნების გამოსაცემად დახარჯული ფული თითქმის სრულიად აღუდგენიათ. გამგეობა ძველივე იქმნა არჩეული ერთხმად: მმართველად ბ-ნი ა. ნანეიშვილი, ადმინისტრატორად ბ-ნი ს. დათეშიძე, ხაზინადრად ბ-ნი თ. მთავრიშვილი და მდივნად ბ-ნი კ. ნიკოლაძე. სარედაქციო კომისიის წევრად არჩეულ იქმნენ ბ-ნნი მ. ხელთუფლიშვილი, პ. კვიცარიძე, საღარაძე, ივ. რატიშვილი და ი. სანებლიძე; ამათგან ოთხი პირველი ახლებია. ძველმა წევრებმა, ბ-ნმა კ. ბაქრაძემ, კ. გოცირიძემ და ს. ხუნდაძემ კომისიაში დარჩენა არ ისურვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვარნი შეკრიბიან (თათართა, ჯალალედინისაგან ტფილისის აოხრების დროს 1227 წ.) და ხოცდიან და ჰხედვიდეს ზოგნი საყვარელთა შვილთა და ზოგნი ძმათა და მამათა და ქმარნი ცოლთა, უპატიოდ მკვდრად მდებარეთა, ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ფოლორცთა (ღრატე) შინა ძაღლთა მიერ ზიდულთა; და არა თუ დაფლვასა მიწასა შინა ღირს ჰყოფდეს, ეკკლესიანი და ყოველნი პატიოსანნი სამსხვერპლონი შეურაცხ იქმნებოდეს, პატიოსანნი მღვდელნი და დიაკონნი და მონაზონნი ეკკლესიათა შინა, თვით ხატთა და ჯვართა თანა შეიმუსრვოდეს და დაიკლვოდეს“ (ქ.-ცხ. 1 ნაწ. 354 გვ.) როდესაც „იქმნა მოწევნა სრულიადისა ღვთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათვის უსჯულოებათა ჩვენთასა, და იქმნა უკუნ ქცევა სვე-სვიანისა, სრულისა და მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯეებულისა“ (ქ-ცხ. 347 გვ.); როდესაც „უმთავრესთა მკვდართა მდინარეთა შინა შთაუტევებდეს; მოიგონეს სხვაცა სიბოროტე, რომლისა ხსენება სირცხვილ მიჩნს, რამეთუ გლოვათა და ცრემლთა მიერ შევიცვენი, თუ ვითარ განვარისხეთ მოწყალე და შემწყნარებელი ღმერთი არა შეწყალებად ჩვენდა; იწყეს რღვევად ეკკლესიათა, ვიდრე საფუძვლადმდე“,(ქ-ცხ.354გ.) და ყოველი ესე იქმნებოდა“ უკეთურებისათვის მკვიდრთა ქართლისათა, რამეთუ ყოველი ჰასაკი ბერთა და ჰაბუკთა, მეფეთა და მთავართა, დიდთა და მცირეთა—მიდრკა სიბოროტეთა მიმართ, რამეთუ დაუტევეს სამართალი და წყალობა; ყოველი ერი იქმოდა სიბილწესა“ (ქ-ცხ. 359 გვ.) და ესრეთ „ირყვნებოდა ქვეყანა მათი (ქართლი) და ძლიერნი იგი მბრძოლნი და სახელოვანნი ულონო იქმნნეს და ვერღარა ეძლოთ წყობისა ყოფად თათართა.... და სრულიადსა გაოხრებასა მიეცნეს“ (იქვე 360 გვ.). აი ამისთანა მწარე დროს დაიბადა, აღიზარდა და კათალიკოზ იქმნა ნიკოლაოზი. ამისთანა გაჭირვებაში ქვეყნის საშველად ნიკოლოზმა მიმართა სარწმუნოებისა და ზნე-ჩვეულებათა განმართვასა. ამისათვის იგი ძლიერის სიტყვით ამხილებს ჯერ რუსუდანს, მერე ორივე დავითებს და ბოლოს დიმიტრი II, თავდადებულს; მარამ იმედ გადაწყვეტილი ნებსით თავს ანებებს კათალიკოზობას და შიომღვიმეში ბინავდება, ვითარცა ერთი მემხოლოეთაგანი და ემსგავსა იერემია წინასწარმეტყველსა, ტირილით მომთქმელი სამშობლოს უბედურებათა. ნიკოლაოზი არ დაერიდა, არ შეუშინდა მონგოლთა ძლიერებას: იგი მივიდა ულო ყეენთან 1243 წ. და ურჩევდა ქრისტიანეთა შებრალებასა, ეკკლესიათა დაცვასა. ნიკოლოზის ესრეთს სულმრთო მოქმედებას მონგოლთ მბრძანებელმა დიდად პატივი სცა და უმთავრესი სათხოვარიც აღუსრულა: მეორე წელსვე (1244 წ.) ნარინ დავით IV და დავით V მეფედ ეკურთხნენ ტფილისის მეტეხის ტაძარში მონგოლთა ნებართვით. აი როგორ აღგვიწერს ჩვენი თვალ ცრემლ-შეუშრობელი მემატიანე ნიკოლოზის სახელოვანს მგზავრობას: „...წარვიდა ულოს წინაშე კათალიკოზი ნიკოლოზ, კაცი სულითა მხილველი, მობაძავი ანგელოსთა და მრავალთა მოღვაწეთა შინა საკვირველი, მართლმადიდებელი, ძლიერი და თვალ-უხვად მამხილებელი მეფეთა და მთავართა. რამეთუ იყოცა უმანკო და არავის თვალახვნის. იხილა რა ყაენმან, განჰკვირდა წესსა და ხილვასა შესახედავისა მისისასა, რამეთუ არა მეცნიერ იყო ნათესავსა ქრისტიანეთასა, თვინიერ არქვანთა, და პატივსცა პატივითა დიდითა და დაუწერეს იერლიყი, რომელ არს წიგნი შეწყალებისა, და მოსცეს შანა (საწირავი ფული), და შეუქმნეს ჯვარნი ოქროსანი და შეუმკვნა თვალთა მიერ და მარგალიტთა და უბოძა ერთი თვით კათალიკოზსა, ერთი მოძღვარსა ვარძიისასა, რომელი თანაჰყვა კათალიკოზსა; და არგანიცა (კვერთხი სამღვდელთმოვარო) იგი ოქროთა შეკაზმული მოანიჭა კათალიკოზსა ოდენ, ჯვარანი იგიცა. ჯ ესრეთ პატივითა წარმოავლინეს და დაიცვნა ყოველნი ეკკლესიანი და მონასტერნი მოწყალებითა ღვთისათა (ქ-ცხ. 380 გვ.). ნიკოლოზის თანა მოღვაწე იყო მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ (ჯუან შერისძე). ნიკოლოზი რომ სამეფოს აღდგენას მცდელობდა და ორივე დავითების გამეფებასა, ამ დროს დიდ მოწინააღმდეგედ აღმოუჩნდა ძლიერი სარგის ჯაყელი, რომელმაც უთავა მესხთა და განდგა სამეფოს ერთი ბისაგან და თვით სამცხე საათაბაგოს მღვდელთმთავრთა და სამღვდელოებასაც კი ჰბირავდა მცხეთის კათალიკოზს და უმორჩილებდა ანტიოქიის პატრიარკს. ნიკოლოზ კათალიკოზის და ნიკოლაოზ მაწყვერლის მხილებამ აქაც ამაოდ ჩაიარა და, მესხნი რომ აწყურის ტაძარს და მის მიდამოს აოხრებდნენ, იძრა მიწა და მრავალნი ეკკლესიანი შეირყივნენ, მათში მცხეთის ტაძარიც, და ამისათვის წამოასვენეს აწყურის ღვთის მშობლის ხატი. ნიკოლოზმა განაახლა ჯალალედინისაგან (1227 წ.) შემუსვრვილ ნი და შებილწულნი ტაძარნი ტ აკურთხა (древн. г. тифл. Іоссел. 137 გვ.). ნიკოლაოზ კათალიკოზს უწერია ხელი რკონის მონასტრის გუჯარზედ, რომლითაც ერისთავი კახა (თორელი) და დედოფალთ დედოფალი ხათუთა სწირავენ სოფელ ხოვლეს, თათართაგან ბაღდადის აღების დროს ნაშოვნ ფულით ნასყიდს. (იხ. ვახუშტ. ისტ. 240-241 გვ. შენიშ. დ. ბაქრაძ.) ნიკოლოზი გადადგა კათალიკოზობიდამ და თვით აკურთხა კათალიკოზად აბრაამ ჯვარის მტვირთველი მეფისა. მეფეს დიმიტრის და მისი მეგობრის სადუნის უჯეროების (სამკოლიანობა) მხილება გაგრძელ-ათონიდამ მოსულმა ბასილ მონაზონმა და გარეჯის მოღვაწემ პიმენ სალოსმა. (იხ. истор. взглядъ на сост. груз. подъ вл. царей магамет. 13, 14 გვ. და ქ-ცხ. 418 გვ.)

პ. ცხვილოელი

უცხოეთი

საფრანგეთი. საარჩევნო აგიტაცია გახურებულია მთელს საფრანგეთში. მონარქისტებმა თავის კანდიდატად ამოირჩიეს გრაფი დოსონვილი; მაგრამ, საზოგადოდ მონარქისტების საქმე კარგად ვერ არის. თვით კასანიაკიც-კი აღიარებს, რომ მონარქისტები ვერაოდეს ვერ გადაეჩვევიან სიზარმაცეს, სიძუნწეს და ულმოკლეობასაო. ხანდახან ლამის ჭკუაზედ ვიშლებიო, ამბობს კასანიაკი, და ჯავრი მომდის, რად ჩავეწერე ასეთ მხდალ დასის წევრადაო.

ამ ჟამად ყველაზედ მხნედ მოქმედობს საფრანგეთში რადიკალთა დასი. ამ დასის წარმომადგენელად ეხლა გობლეა, რომელმაც ბორდოში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. გობლეს სიტყვა მთელი პროგრამაა რადიკალთა. გობლემ სთქვა სხვათა შორის: საფრანგეთი მძლავრია, მდიდარი, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკაში ისეთი მნიშვნელობა აღარა აქვს, როგორიცა ჰქონდა ამ 3—4 წლის წინად. შინაგან საქმეთა ვითარება ვერაფერი მოსაწონია. საპოლიტიკო დასებმა, საზოგადოებამ არ იციან ვისა და რას მიემხრონენ; პარლამენტის მოქმედება უნაყოფოა. ამ უკანასკნელ ოთხის წლის განმავლობაში პარლამენტს სრულიად არაფერი გაუკეთებია. ეს გარემოება ჩვენის ვითომ და დიდად მოსაზრებულ პოლიტიკის ბრალია. კარგად იცითო, სთქვა გობლემ, სადამდინ მიგვიყვანა ამ პოლიტიკამ. ამ პოლიტიკის წყალობით საფრანგეთში გამეფდა პირადი ინტერესები. რესპუბლიკა გარდაიქცა პირად ანგარიშებისათვის ბრძოლის ასპარეზად; საკვირველი არ არის ამიტომ, რომ ყველანი დავრწმუნდით, ძველი საზოგადოება უნდა დაეცეს, განადგურდეს და ახალი დაარსდესო.

ამ გვარად მომავალ არჩევანებს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. გობლეს აზრით ეხლა ერთმანერთს შეეჯახება ორი საპოლიტიკო დასი კონსერვატორთა. დასი სცდილობს რესპუბლიკა იმ ნიადაგზედ დაიყენოს, რომელზედაც ეხლაა დამყარებული და მხოლოდ ის რეფორმები შეიწყნაროს, რომლებიც უკვე მიღებულია. ხოლო პროგრესისტთა დასსა სურს საპოლიტიკო, სოციალური და საადმინისტრაციო რეფორმების შემოღება. გობლე, რასაკვირველია, ამ უკანასკნელს დასს ეკუთვნის.

წვრილი ამბავი

კარგა სანია, რაც ტესნიკების უურადღებას იზიდავს ჭაერში სიფრენ ისეთ მანქანის მოგონება, რომლითაც შეიძლებოდეს თავისუფლად ჭაერში მოგზაურობა. ძლიერ ბევრი ტესნიკის ძალ-ღონე და თვით სიცოცხლეც უმსხვერპლია ამ საქმეს, მაგრამ ჯერ ჯერობით ვერ აესრულებიათ გულის წადილი. აშკარაა, ადრე თუ გვიან მაინც გაიმარჯვებს კაცის გონება და ამ მხრითაც ბუნების ბატონად შეიქმნება. აქამდის მხოლოდ პატარა ნაკუწებს აკეთებდნენ ჭაერში სიფრენს, ესლა კი კიდ ჭელმ ფონ-ზეპელს გაუკეთებია ასალი და კარგად მოწყობილი ჭაერში სიფრენი ნავი. ეს ნავი სიგრძით ექვსი საჟენია, ხოლო სიგანით ოთხ საჟენამდე და ისარის მსგავსია, რომ უფრო ადვილად შეაღწიოდეს მისი მოძრაობა ჭაერში. ეს სიფრენი ნავი ასეა მოწყობილი: წინა ნაგის კონუსის მსგავს ცხვირთან ტრიალებს თვალი, სწორედ ისეთი, როგორიც ატრიალებს ჭაერის წისქვილს; ამ ტრიალით ჭაერი ირღვევა და ნავი მოძრაობაში მოდის. ნავის ორსავე მხარეს მიბმულია მოსასმელი ნისაბი და მისის შემწეობით სასითაც უნდათ იქით მიაბრუნებენ ამ ნავსა.

ნავის ცხვირს ჭკვიად ჩამოშვებულია თოკი, რომელზედაც ჭიდია დიდი გირი. ბლოკის შემწეობით შეიძლება ეს გირი ხან წინ გაიწიოს, ხან უკან. წინ თუ გასწიეს, ნავიც ძირს ჩამოეშვება, თუ უკან და—ნავი ზეკით ადგილდება. ამ ჟამად ეს ჭაერში სიფრენი ნავი დიდს უზარმაზარ დარბაზზა „Brater-Boutoude“-ში ჭიდია. ვილჭელმ ფონ-ზეპელს სურდ, ნიმუშად ორი კაცით აემგზავრა ეს ჭაერში სიფრენი ნავი, მაგრამ ბოლიციას ნება არ დაურთავს.

ესლა ვერ კიდევ ამბობენ დაამზადოს მეორე სიფრენიც ამბრეშუმისა, სიგრძით 10 საჟენიანი. ეს ახალი სიფრენი ნავი 30,000 გულდენი დაჯდება თურმე. ვერ ამბობს, რომ ძლიერ საიმოვნოა ამ ლა ტის სავრცეში სეირნობა, რადგან სიტკბოებასა გრძნობს კაცი, როდესაც იმ სამაღლიდგან გადმოსცქერის დედა-მიწასაო. ამ საშუალებით სურს ვერ ეს ცნობის-მოყვარეობა აღუძრას შეძლებულ არისტოკრატებს, ეგებ დამხმარნენ და 30,000 დოლარი შემოგროვონ როგორმეო.

— ტფილისის ბარუტეთა საამქროში ერთმა ფანაამ დაჭარა სამი ლეკვია მათ შორის ორი მკვდარი იყო. რადგანაც ფანაას ძუძუები საკმე ჭქონდა და ლეკვი-კი ერთის მეტი არ ჭეკანდა, შესაძლო იყო ძუძუები ესტეკინოდა. ამიტომ ბეითალმა მეშჩერსკემ ფანაას ორი კატის კნუტი მიუჭვანა. ფანაამ შეითვისა კნუტები, აწოვებდა ძუძუს, ლოკავდა, და როცა სმელ ადგას გადაუკარდებოდა კნუტი და კნავილს იწყებდა, გულმტკივნეული დედობილი დიდის სიფრთხილით ბირით იეკანდა და თავისთან ახლოს იწვენდა. 25 მაისს, როდესაც ძაღლი შინ წასაყვანად კალათაში ჩააწყვინეს, ერთის ლეკვით, ფანაა წამუტუნით ისევ უკან გადმოხტა და სათითოდ ჩასხა კალათაში ის ორი კნუტიც. მეტი ღონე არ იყო, პატრონმა წაიყვანა შინ ფანაიანა და ამისი გაზდილებიც—კატის კნუტები!

დეპეშა

26 მაისი

პეტერბურგი. მალე გამოვა სახელმწიფო კანცელარიის მიერ შედგენილი დებულება ქირით გაცემულ სახლებზედ გარდასახადის შესახებ, დებულებაში მოხსენებულია ის საბუთებიც, რომელზედაც დამყარებულია გარდასახადის შემოღება.

„Новое Время“ იუწყება, რომ ივლისში გამოცხადდება ახალი კანონი, რომლის ძალითაც აკრძალული იქნება გლეხთა „ნადელების“ სხვისთვის გადაცემა.

იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ფინანსთა საბჭოს წევრი კობეკა გაგზავნილ იქმნება უფას, სამარას და ორენბურგის გუბერნიებში, რათა ადგილობრივ გამოიკვლიოს, რაოდენის გარდასახადს ძლევა შეუძლიანთ ამ გუბერნიების მცხოვრებთ.

ჩიკაგო. გამოფენაზედ გაიმართა ექვსი რუსული კონცერტი გლავჩის მეთაურობით.

პარიზი. გაზეთი „Voltaire“ სწერს, რომ რუსეთის ჟურნალისტებს სუვორინს, ნოტოვიჩსა და პეტროვსკის, საფრანგეთის საერო დღესასწაულის გამო 14 ივლისს, ებოძებათ ორდენები საპატიო ლეგიონისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტერბურგის ბირჟა, 25 მაისი

	ფონდების ფასი.	კუპონების ფასი.	ტალონების ფასი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
რუსეთ-შინაურეთის ოქრო	7,53	7,60	— ,,
ტაბოლეონის კუპონები	150¾	151½	— ,,
შინაურეთის ვერცხლის ფული	1,01	1,03	— ,,
2% პირველის შინაგანის სესხის ფოლგები	— ,,	— ,,	245¾
ბეოლიცა	— ,,	— ,,	222¾
4% მესამე სესხისა.	— ,,	— ,,	— ,,
სანულოსნოთა თავადაზნაურობის ბანკის ფოლგებ. ფურცელი	— ,,	— ,,	194½
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	— ,,	101	— ,,
5%.	— ,,	100¼	— ,,
ეუფაისის ბანკისა 6%.	— ,,	101	— ,,
5%.	— ,,	100¼	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98	— ,,	—

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ჟელეზნოის გემებისა შავს ზღვაზედ

რკინის გზის ნაოსნობა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. აღს.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე ოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში ვირ ათობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკევობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკევობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკევობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით-ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის მოურავისაგან.

ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევანები, მომხდარი ამა წლის

16 მაისს, საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულომ უკანონოდ სცნო და გააუქმა.

ამის გამო და იმავე საკრებულოს დადგინებით, 30 მაისს, დილის 9 საათზედ, სახელმწიფო თეატრის დარბაზში, ინჟენერის ქუჩაზედ, ხელახლად მოხდება საარჩევნო კენჭის ყრა და არჩევა იმ პირთა, რომელთაც საარჩევნო ყუთები ედგათ 16 მაისს.

კრებაზედ შესვლის დროს ამომრჩეველთ უნდა წარადგინონ ის ბილეთები, რომელიც მიიღეს 16 მაისს მომხდარ არჩევანებისთვის.

ვინც მაშინ არ აიღო ბილეთი, შეუძლიან მიიღოს ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, 30 მაისის დამლეგამდე.

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევიო 2 საათამდე. (150—58)

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ქრისტინე

მოთხრობა
ე. ნინოშვილისა
გამოცემული
ვ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ
ფასი ერთი აბაზი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი.	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ ვრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილის . .	„	30
რუსი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ჭილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალიცა-ხელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ს. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით მიიღებენ:

ს. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ს. ს. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

ალალო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრედვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც. 20%-ის ბეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—13) ალ. თუთაევი

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყოფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—34) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

რუსეთის საგაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5%-იანი **მოგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თითეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თითე-და-თითე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყოფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—23) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

მეაქარხნეები

საგაჭრო სახლი

ბენდერ-სტეფანოვი

ტფილისის განყოფილება სოლოლაკ. ქ. სახ. ადაბაბოვისა

ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—29)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამით, რა პროგრამითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

12 თვეზე. . .	10 მ.—კ.	6 თვეზე . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50„	5 „ . . .	5 „ 50„
10 „ . . .	8 „ 75„	4 „ . . .	4 „ 75„
9 „ . . .	8 „ —„	3 „ . . .	3 „ 50„
8 „ . . .	7 „ 25„	2 „ . . .	2 „ 75„
7 „ . . .	6 „ 50„	1 „ . . .	1 „ 50„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეშე მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის ლითა, მის მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. გა ცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვერდზე, რამდენს ადგილსაც და იქნება 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული, წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებია გდა წერილების მესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

Доз. ценз. Тифлисъ, 27-го Мая 8913 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე